პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 98 (3075)

24 მაისი. 1966 წ. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## პირველია ომარ ფხაკაძე

ტულა, 23 მაისი. კომკავშირის XV ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ხარკოვის, თბილისისა და ტულის ველოსიპედისტები. სპრინტში ორი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ. II ადგილზე მასპინძელი ბ. რომანოვი, III — ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვი.

200 მეტრზე გიტში სვლით ო. ფხაკაძემ გაიმეორა თავისივე საკავშირო რეკორდი —11,2.

საქართველოს სპორტკავშირში

# ჯილდოები ღირსეულთ

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1965 წლის გეგმა-ვალდებულებანი და მეშვიდედ მოიპოვეს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი.

გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აჭარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და გორის საქალაქო, მახარაძის, ზუგდიდის, ხაშურის, ბორჯომისა და კასპის რაიონების სპორტკავშირის საბჭოებმა, რომლებმაც ფიზკულტურელთა რიგებში გააერთიანეს მოსახლეობის 25-30 პროცენტი. დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს მთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულება. 1965 წელს მარტო თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს 147 სპორტის ოსტატი, ქუთაისისამ — 25, აჭარისამ — 14, რუსთავისამ — 6 და სხვ.

კარგი შედეგები ჰქონდათ შარშან აგრეთვე სპორტკავშირის ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო, ბათუმის, გარდაბნის, მცხეთის, დუშეთის, ონის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, გურჯაანისა და მარნეულის რაიონულ საბჭოებს, რომლებმაც ძირითადი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულების გარდა სპორტის ოსტატებიც აღზარდეს.

საქართველოს სპორტკავშირმა ამას წინათ შეაჯამა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გაშლილი შეჯიბრების შედეგები და ამ საქმეში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის გარდამავალი წითელი დროშითა და სიგელით დააჯილდოვა:

რუსთავის სპორტკავშირის საქალაქო საბჭო;

მახარაძის, ზუგდიდისა და კასპის რაიონული საბჭოები.

საქართველოს სპორტკავშირის ალმითა და სიგელით დაჯილდოვდნენ:

ფოთისა და გორის საქალაქო საბჭოები;

ბორჯომისა და ხაშურის სპორტკავშირის რაიონული საბჭოები.

საქართველოს სპორტკავშირის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბათუმის, ჭიათურისა და ტყიბულის სპორტკავშირის საქალაქო საბჭოები;

გარდაბნის, მცხეთის, დუშეთის, ონის, ზესტაფონის, გურჯაანის, მარნეულის, ლანჩხუთის, წულუკიძისა და საჩხერის რაიონული საბჭოები.

ფიზკულტურასა და სპორტში შარშან მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის საქართველოს სპორტკავშირის საპატიო სიგელითა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ: სპორტკავშირების თავმჯდომარეები — შ. მუავანაძე (აჭარის ასსრ), გ. რცხილაძე (თბილისი), ლ. ახვლედიანი (ქუთაისი), ო. ჯებაშვილი (რუსთავი), ო. კემულარია (ფოთი), გ. მეყანწიშვილი (გორი), ე. თხილაიშვილი (ბათუმი), ზ. ბარათაშვილი (ჭიათურა), ვ. ოქრუაძე (ტყიბული), ო. კიშინსკი (მახარაძე), კ. ხორავა (ზუგდიდი), გ. კიკაჩეიშვილი (კასპი), მ. ლაზარევი (ბორჯომი), კ. ხვედელიანი (ხაშური), ს. ხელაშვილი (გარდაბანი), ფ. ხუროშვილი (მცხეთა), ს. ხუროძე (დუშეთი), შ. ქოჩლაძე (ონი), კ. ბაზაძე (ზესტაფონი), დ. ნაცვლიშვილი (გურჯაანი), დ. მიქაძე (მარნეული), გ. წილოსანი (ლანჩხუთი), ა. ყუფარაძე (წულუკიძე), დ. გოშაძე (საჩხერე).

XVIII პარტია

# კვლავ ყაიმი




მოსკოვი, 23 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან — სპასკის მატჩის XVIII პარტია.

მეტოქეებმა გაითამაშეს ახალინდური დაცვა, რომელიც ჩვეულებრივ მშვიდ, პოზიციურ თამაშს წარმოშობს. მაგრამ ასეთი თამაში სპასკის, ცხადია, ხელს არ აძლევდა. ამიტომაც მე-5 სვლაზე მან მეტისმეტად მოულოდნელი და ორიგინალური სვლა გააკეთა: მხედარზე გაცვალა შესანიშნავი კუ. მსოფლიო ჩემპიონმა ორი კუს უპირატესობა მიიღო და პაიკის დროებითი შეწირვით ინიციატივას დაეუფლა. გრძელი როქის შემდეგ კი პეტროსიანი სერიოზულად დაემუქრა შავ მეფეს.

კრიტიკულ პოზიციაში სპასკიმ პაიკი შესწირა მეტოქეს და თავად შეუტია თეთრების მეფეს. იგი არც ლაზიერების გაცვლას მოერიდა.

პეტროსიანის 26-ე სვლის შემდეგ პარტიამ საყაიმო ელფერი მიიღო. მართალია, სპასკიმ ხარისხის შეწირვით კომბინაციური მუქარები შექმნა, მაგრამ კონკრეტული არაფერი ჩანდა. ამიტომ მან ხელი მიჰყო ფიგურების შემდგომ გაცვლას და 33-ე სვლაზე პარტიაში ყაიმი იქნა ფიქსირებული.

აი, პარტიაც: —

**პეტროსიანი — სპასკი**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. მc3 კb7 5. a3 კ:f3 6. gf კe7 7. f4 d5 8. f5 ef 9. კg2 0—0 10. cd კd6 11. ლd3 g6 12. კg5 ეe8 13. h4 მbd7 14. h5 ეb8 15. hg fg 16. 0—0—0 b5 17. მ:b5 ლc8 18. ეd2 ლb7 19. მc3 ლb3 20. ლc2 მფg7 21. კf3 h5 22. ლ:b3 ე:b3 23. ეc2 ეeb8 24. e3 მფf7 25. ეd1 მb6 26. კ:f6 მფ:f6 27. კe2 h4 28. f4 ეe8 29. მფd2 ე:c3 30. ე:c3 მ:d5 31. კb5 მ:c3 32. კ:e8 მ:d1 33. მფ:d1. ყაიმი.

ამრიგად, XVIII პარტიის შემდეგ წინაა ტ. პეტროსიანი — 9,5:8,5. XIX პარტია შედგება 25 მაისს.

# სპორტული ზეიმი ლუჟნიკში

მიეძღვნა საკავშირო კომკავშირის XV ყრილობას

ახალგაზრდობას სპორტი უყვარს. კომკავშირის XV ყრილობის დელეგატებმა სიხარულით მიიღეს მოსკოველთა მიწვევა და 22 მაისს ლუჟნიკში გამართულ დიდ სპორტულ ზეიმს ესტუმრნენ.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სარბიელზე მწყობრად შემოვიდნენ მოტოციკლები. ხალმხრავალი ტრიბუნები მქუხარე ტაშით შეხვდა ყრილობისადმი მიძღვნილი ვარსკვლავისებური მოტოესტაფეტის მონაწილეებს. სპორტსმენებმა გმირი ქალაქებიდან — ლენინგრადიდან, ვოლგოგრადიდან, სევასტოპოლიდან, ოდესიდან, კიევიდან, აგრეთვე გმირი ციხე-სიმაგრე ბრესტიდან ყრილობის დელეგატებს ძმური სალამი და კეთილი სურვილები ჩამოუტანეს. დოსაადფელებს ამისთვის რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის 30 ოლქის ტერიტორიის გადასერა მოუხდათ.

მოტოგადარბენის წარმატებით დამთავრების შესახებ შეკრებილთ უპატაკა საბჭოთა კავშირის გმირმა, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერმა, დიდი სამამულო ომის ერთ-ერთმა სახელგანთქმულმა სნაიპერმა ფ. დიაჩენკომ. ბრესტის წარმომადგენლებმა სხვა გმირი ქალაქების გუნდებს წმიდათა-წმიდა რელიქვია, ბუგის დამცველთა სისხლით მორწყული მიწით სავსე მომცრო ყუმბარები გადასცეს.

ათობით ათასი მაყურებელი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა და ნორჩ ფეხბურთელთა საინტერესო შეჯიბრებების მოწმე გახდა. სპორტული კლუბების „წითელი ოქტომბრისა" და „ჩაიკის" წარმომადგენლები ასპარეზობდნენ 8-მეტრიან დარტყმებში. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა „ჩაიკამ".

ჭაბუკი ფეხბურთელები ოსტატებმა შეცვალეს...

მძლეოსანთა სტარტებში გამარჯვებულები ჯილდოვდებოდნენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სამახსოვრო თასებით. ერთ-ერთმა პირველმა თასი მიიღო... ყრილობის დელეგატმა. ეს იყო რიგელი ი. ლუსისი, რომელმაც შუბი ყველაზე შორს ტყორცნა — 83,66 მ. მოსკოველმა ვ. სკვორცოვმა 219 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, რითაც პირადი რეკორდის „ჭერი" კიდევ 1 სმ-ით ასწია. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. პრესმა სამჯერ აიღო სტარტი და სამჯერვე ფინიშთან პირველი მივიდა: ესტაფეტაში, 80 მეტრზე თარჯრბენსა და 100 მეტრზე რბენაში. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ სახეობაში მან ევროპაში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 11,5 წამი. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში გაიმარჯვა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ლებედევმა — 10,4 წამი.

# ნ. ხუბულური თავს გვაწონებს

## საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIII ჩემპიონატი

თუ ც. კახაბრიშვილისა და ა. ჩაიკოვსკაიას ლიდერობა საქართველოს ქალთა XXIII საჭადრაკო ჩემპიონატში არავისთვისაა მოულოდნელი, თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლის, 14 წლის ნ. ხუბულურის წინსვლა სასიამოვნო სიურპრიზია. თუმცა, რატომ სიურპრიზი? წლეულს ნინომ თბილისის ჩემპიონატში ხომ III ადგილი დაიკავა!..

ა. ჩაიკოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში ყაიმის შემდეგ ნ. ხუბულურმა IV და V ტურებში შესაბამისად დაამარცხა თბილისის წლევანდელი ჩემპიონი ნ. ჩიქობავა და მ. ლოლიშვილი. ახლა მას 4,5 ქულა აქვს და ა. ჩაიკოვსკაიასთან ერთად სატურნირო ცხრილის სათავეშია. საჭიროა ისიც ითქვას, რომ ნიჭიერი გოგონა ენერგიულად უტევს მეტოქეთა პოზიციას, მუდამ კომბინაციის ძიებაშია.

ც. კახაბრიშვილს 4 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია აქვს. ლიდერობისთვის ბრძოლაში ციცინოს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა ჰქონდა ქ. გოგიავასთან. ნიჭიერმა ქალიშვილმა აღმავლობით ითამაშა და მეტოქის მეფეზე იერიშით 31-ე სვლაზე გაიმარჯვა.

4 ქულა აქვს აგრეთვე თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს, 14 წლის ც. კობაიძეს.

აი, სხვა ტექნიკური შედეგები: გადადებული პარტიების დამთავრება — ხუგაშვილი — გოგიავა 0,5:0,5, კობაიძე — გიორგაძე 1:0, ივანოვა — შენგელია 1:0, IV ტური — ლოლიშვილი — მანველოვა 1:0, ჩაიკოვსკაია — ჩხიკვაძე 1:0, სვანაძე — ჩომახიძე 0,5:0,5, ნაჭყებია — გიორგაძე 0,5:0,5, კობაიძე — ივანოვა 1:0; V ტური — ხუგაშვილი — ჩაიკოვსკაია 0,5:0,5, ჩომახიძე — ბაძაღუა 1:0, შენგელია — კობაიძე 0:1.

თ. ნინოშვილი.

# ჩვენი მეზობლები ...

◆ „საგვარეულო" კლუბი

11 წლის ჟორა აგზამოვი უზბეკეთის ფერადი მეტალურგიის ცენტრის — ალმალიკის ჩემპიონი გახდა. მან აჯობა 17 პირველთანრიგოსანს! ამ გამარჯვებამ ნორჩ მოჭადრაკეს საშუალება მისცა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში შესულიყო და მისი სპორტული ღირსება დაეცვა მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებებში.

მაგრამ ეს ამბავი სენსაციად არავის ჩაუთვლია. ჟორა აგზამოვების „საოჯახო" საჭადრაკო კლუბის წევრია. ოჯახის თავი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ტაჯიხან აგზამოვი უზბეკეთის პირველი ჩემპიონია მიმოწერით თამაშში. ამჟამად იგი რესპუბლიკის ნაკრების წევრია და აზიის თასზე შეჯიბრებაში მონაწილეობს. აგზამოვის მეტოქეები ამ უძველესი თამაშის სამშობლოს ინდოეთის, აგრეთვე ირანის ისრაელის და უცხოეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან. ტაჯიხანის გატაცება „მემკვიდრეობით" გადაეცა მის სამივე ვაჟს. უფროსი, ვიაჩესლავი 20 წლისაა. იგი 12 წლიდან თამაშობს ჭადრაკს და შარშან სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა სტუდენტთა შორის. მეორე ვაჟი — ვალერი ნამდვილი „საჭადრაკო ენციკლოპედიაა". მან დაწვრილებით იცის ყველაფერი ყოველი ტურნირის შესახებ, თვითონ კი მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში თამაშობს.

გაზეთმა „ფიზკულტურნიკ უზბეკისტანამ" გამოაქვეყნა აგზამოვების ნათამაშევი პარტიების ჩანაწერები. ოსტატ მ. მუხიტდინოვის აზრით, ეს პარტიები დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს და საოჯახო საჭადრაკო კვარტეტის შესანიშნავ ნიჭზე მეტყველებს.

ნ. მოისეევი.

ტაშკენტი.

◆ **ბიალოგარდი,** 23 მაისი. პოლონეთის ძალოსანთა გუნდურ ჩემპიონატში მ. გოლომბმა (ქვემძიმე წონა) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 168,5 კგ (ეს ნახევარი კილოგრამით ჯობს ოლიმპიური ჩემპიონის, საბჭოთა ათლეტ ვ. გოლოვანოვის ძველ რეკორდს). გოლომბის შედეგი სამჭიდში — 477,5 კგ — პოლონეთის ახალი რეკორდია.

◆ **პეკინი,** 23 მაისი. ძალოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში მასპინძლებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს. სიაო




მინ-სიანმა (ქვემსუბუქი წონა) აკრა 157,5 კგ, ხოლო დენ გო-ინმა (მსუბუქი წონა) აჭიმა 145,5 კგ. ეს ორივე შედეგი მსოფლიო რეკორდებს აღემატება. გარდა ამისა, სიაო მინსიანმა სამჭიდში გაიმეორა იაპონელი ი. მიაკეს მსოფლიო რეკორდი — 397,5 კგ.

◆ **პეკინი,** 23 მაისი. ჩინელმა სტუდენტმა, 24 წლის ნი ჩჟიჩინმა 226 სმ სიმაღლე დაძლია. ტანხმელ სპორტსმენს, რომლის სიმაღლე 184 სმ-ია, სულ 2 სმ დააკლდა ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდამდე.

◆ როსტოკი, 23 მაისი. აქ გაიმართა შვეციის, ფინეთის, სსრ კავშირისა და გდრ-ის წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება. კოშკიდან ხტომაში ტოლი არ ჰყავდათ საბჭოთა სპორტსმენებს ნ. კუზნეცოვას (მოსკოვი) და ვ. სარიბეკიანს (ერევანი).

# ფეხბურთის ტალღაზე

სანტ-იაგო, 23 მაისი. ჩილის ნაკრების ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე დაამარცხეს უელსის ეროვნული გუნდი. მატჩის 41-ე და 77-ე წუთებზე ჩილიელთა თავდამსხმელების მარკოსისა და ტობარის მიერ გატანილმა ბურთებმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა — 2:0.

მეხიკო, 23 მაისი. მექსიკის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების მიზნით მატჩი გამართა ინგლისის პროფესიულ კლუბ „შეფილდ იუნაიტედთან" და ფრედ ითამაშა — 0:0. საინტერესოა, რომ ინგლისელმა ფეხბურთელებმა მანამდე წააგეს მექსიკის საკლუბო გუნდებთან — „ამერიკასა" და „ატლასთან".

ვენა, 23 მაისი. ავსტრიისა და ირლანდიის ეროვნული გუნდების მატჩის ბედი გადაწყვიტა მასპინძელთა ნახევარმცველის სეიტლის მიერ სტუმართა კარში გატანილმა გოლმა — 1:0.

ვარშავა, 23 მაისი. ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე პოლონეთის ჩემპიონი გახდა ზაბჟეს „გურნიკი". თავის უახლოეს მეტოქეებს ზაბჟელები 7-8 ქულით უსწრებენ. ცნობილი კლუბი მეშვიდედ გახდა პოლონეთის ჩემპიონი.

## საქართველოს სტუდენტთა თამაშები

# გუნდშია... 1 ტანმოვარჯიშე

დამთავრდა პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. I ჯგუფში ყველას აჯობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა. II ადგილი წილად ხვდა თბილისის უნივერსიტეტს, ხოლო III—ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებს.

გათამაშდა აგრეთვე ჯ. ფრიდონიშვილის სახელობის თასი, რომელიც დაწესებულია 1962 წელს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ უმაღლესი სასწავლებლების უძლიერესი გუნდისთვის. ეს პრიზი დაისაკუთრეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებმა.

II ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა. II ადგილზეა ბათუმის პედინსტიტუტი, III — ქუთაისის პედინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლის სახელს იცავდა... მხოლოდ ერთი ტანმოვარჯიშე.

პირადი ადგილები ასე განაწილდა: **ოსტატ ვაჟებში თამაშების ჩემპიონი გახდა შ. აზარაშვილი — 110,45 ქულა.** II ადგილი დაისაკუთრა ა. ღონღაძემ — 109,2 ქულა (ორივენი — უნივერსიტეტი), III — თ. კოხრეიძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 108,05. **ოსტატ ქალებში I ადგილი დაისაკუთრა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ც. ჭკადუამ — 75,9 ქულა.** II ადგილზეა ვ. ადამაშვილი (უნივერსიტეტი) — 75,25, III — მ. ბანძელაძე (ქუთაისის პედინსტიტუტი) — 73,0.

პირველთანრიგოსან ქალებში გაიმარჯვა ს. ბაგაურმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი). II და III ადგილები დაიკავეს ბათუმის პედინსტიტუტის წარმომადგენლებმა ლ. ჩხაიძემ და ნ. წერეთელმა.

**ნ. კალანდაძე.**



სურათზე: საქართველოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი, სპორტის ოსტატი შ. აზარაშვილი რგოლებზე ვარჯიშისას.

ფოტო ო. ჯინჯიხაშვილისა.

## წერილი რედაქციას

# ასე დავრჩით მოტყუებული

თბილისელი გულშემატკივრები განებივრებული როდი ვართ წყალბურთის მატჩებით. ამიტომ იყო, რომ სიხარულით გავეშურეთ „განთიადის" აუზისკენ, რათა საქართველოს სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება გვენახა.

კარგა ხანს მოგვიხდა ცდა. „განთიადის" აუზში არც სტუდენტი წყალბურთელები ჩანდნენ, არც შეჯიბრების ორგანიზატორები და ჩვენც გულდაწყვეტილებმა დავტოვეთ იგი.

შეცდომაში შეგვიყვანა ქალაქის ქუჩებში გაკრულმა აფიშებმა, რომლებზეც სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების სხვა სახეობებთან ერთად წყალბურთელთა შეჯიბრებებზეც იყო ლაპარაკი, თორემ კარგად ვიცოდით, რომ „ბურევესტნიკი" მაინცდამაინც თავს არ იწუხებს უმაღლეს სასწავლებლებში წყალბურთის დანერგვით (ხომ გახსოვთ, თავისი ერთადერთი გუნდი, რომელიც საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობდა, კარგა ხანია მან რატომღაც „ლოკომოტივს" გადაულოცა).

გული გვატკინა „ბურევესტნიკის" ხელმძღვანელთა მოქმედებამ, რომელმაც ჩვენც მოგვატყუა და ასე ვთქვათ, თავისი თავიც.

**ვ. ჟიგოუშვილი, ნ. გელაძე, კ. დავლიანიძე.**

# თ. ასლამაზიშვილი და მ. თბილელი — ჩემპიონები

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ თბილისში გაიმართა სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონატის სამდივნოში დაშვებული შეცდომის გამო ჩვენმა გაზეთმა უსწოროდ დაბეჭდა პრიზიორთა სამეულები ქვესაშუალო და საშუალო წონებში. სინამდვილეში ქვესაშუალო წონაში ჩემპიონი გახდა თ. ასლამაზიშვილი, ხოლო საშუალოში — მ. თბილელი. პრიზიორთა სამეულები ასე გამოიყურება: 1. თ. ასლამაზიშვილი (პოლიტექნ. ინსტ.), 2. მ. გოგავა (ფიზკ. ინსტ.), 3. ე. კოშკაძე (უნივ.) და 1. მ. თბილელი (უნივ.), 2. ო. ქიბროწაშვილი (გორი), 3. ლ. ჯალაბაძე (ცხინვალი).

რედაქცია მადლობას უხდის მკითხველებს ნ. ნუკრიძესა და რ. მალასიძეს, რომლებმაც შეგვატყობინეს დაშვებული უზუსტობანი.

# ტრაქტორები... სტადიონზე

**ზოგი** კაცი ავ საქმეში რატომღაც სიკეთეს ხედავს და სანამ აკვიატებულ აზრს სისრულეში არ მოიყვანს, ვერ მოისვენებს. ასე მოუვიდა ცხინვალის რაიონის სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ბაბუციძეს, თქვა: ბურთაობას ერთი ტონა ხახვი მირჩევნიაო და სტადიონს ტრაქტორები მიუსია...

რა თქმა უნდა, ნასტადიონარზე მილებულმა ხახვის მოსავალმა თავმჯდომარე სიამაყის გრძნობით აღავსო. უსტადიონოდ დარჩენილმა სპორტის მოყვარულებმა კი ერთი ალიაქოთი ატეხეს, მაგრამ ნიკოლოზ ბაბუციძეს ხახვიც ვერ დააჭრეს ყურზე.

მართალია, ამ „სანაქებო" საქმის მოთავეს, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების სკოლა არ დაუარსებია და „ყამირის" ათვისების მდიდარი გამოცდილება არავისთვის გაუზიარებია, მაგრამ „სასარგებლო საქმეს" თავისით მონახა გზა და მიმდევრებიც გაიჩინა.

ეს მეთოდი მცირე სიახლით შრწყინვალედ აითვისა სოფელ კეხვის კოლმეურნეობის გამგეობამ. სტადიონი საკარმიდამო ნაკვეთებად დაარიგა და შიგ სახლის დადგმის უფლება მისცა ახალმშენებლებს.

მაგრამ არც ამაზე შეჩერდა „ახალი მეთოდი", მან დაღმართში დაგორებული ბურთივით გაიკვლია გზა, ამავე რაიონის სოფელ ქსუისის საშუალო სკოლის დირექტორს დიმიტრი ბესტაევს შეაფარა თავი.

— კოლმეურნეობა სკოლისათვის მაძლევს ნაკვეთს, ეს კარგია,—თქვა სკოლის დირექტორმა, — მაგრამ ნაკვეთს გასუფთავება, შელობვა და ათასი დავიდარაბა უნდა. აგერ სტადიონი კი უკვე შელობილი და ქვა-ღორღისაგან გაწმენდილია. უკეთესს ინატრებ? —მართლაც, უკეთესი ვერც მოიფიქრა და ვერც ინატრა. ითხოვა ერთ დღეს ტრაქტორი კოლმეურნეობიდან, მიუშვა სტადიონზე და მალე ფეხბურთის მოედანს და მძლეოსნურ სარბენ ბილიკებზე ბელტი-ბელტს მიაწვინა.

— ეს, რასა გავს, პატივცემულო დირექტორო, —მორიდებით იკითხეს სოფლის ახალგაზრდებმა. მაგრამ ვინ დაუგდო ყური ახალგაზრდობას, დირექტორმა მოხნულ

## ფელეტონი

სტადიონზე ორმოები ამოთხარა და შიგ ვაშლის ხის ნერგები ჩარგო.

ვერ მოითმინეს სოფლის სპორტსმენებმა, აფრინეს საჩივრები რაიონულ ცენტრში, ოლქში, საქართველოს სპორტკავშირში. ამბობენ, დიმიტრი ბესტაევის ინიციატივამ მოწონება ვერ დაიმსახურაო, მაგრამ ცარიელი სიტყვა ვის შველის, რომ ქსუისელი ახალგაზრდებისათვის ეშველა. დარჩნენ სოფელში ნასტადიონარი და პირშიჩალაგამოვლებული ახალგაზრდები.

მაინც არ მოისვენეს სპორტის მოყვარულებმა. ბურთი სოფლის შარაზე გამოიტანეს და... შეშინდნენ დიმიტრის კეთილის მოსურნენი, უსტადიონოდ დარჩენილი ბურთი უცაბედად დირექტორს არ მოხვდეს თავში და სკოლა უდირექტოროდ არ დაგვრჩესო. აარიდეს ამ ფათერაკს და ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს.

როგორც ირკვევა, სოფელ ავნევშიც ჰქონიათ სტადიონი და ტრაქტორი. ჰოდა, მოუარეთ, ავნეველებო, თქვენს ტრაქტორს, არ ჩაუვარდეს ხელში დიმიტრი ბესტაევს, თორემ სტადიონისაგან ნასტადიონარი დაგრჩებათ.

**გ. მახარაძე.**

## სოფლის ცხოვრება

# არჩევნებს მიუძღვნეს

თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ჭადრაკში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ინჟინერმა ვ. ხვანმა, შაშში — გამწვანების მუშამ გ. სანიკიძემ, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ნედლეულის საამქროს მუშამ ა. გვაზავამ.

**ი. ხაბეიშვილი.**

# ბათუმელები პირველნი

ამას წინათ ბათუმში დამთავრდა აჭარის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირში მონაწილეობა მიიღო ქალაქების — ბათუმისა და ქობულეთის, აგრეთვე ბათუმისა და ხულოს რაიონების 50-ზე მეტმა ათლეტმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: დ. აფხაზავამ (ბათუმი), დ. ხალვაშმა (ბათუმის რაიონი), დ. ვარშანიძემ (ბათუმი), მ. ჯაფაროვმა (ბათუმის რაიონი), დ. ჭინჭლაძემ, შ. ხარაბაძემ, ა. კურტანიძემ, ლ. შავთვალაძემ (ყველანი — ბათუმი).

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ბათუმელებმა დაისაკუთრეს.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: ბ. მეავანაძე (ქობულეთი), გ. ღვინიელაძე, გ. გოგიჩაიშვილი, პ. გაგუა (ყველანი — ბათუმი), ზ. ჩავლეიშვილი (ბათუმის რაიონი), ფ. ხიდაშელი, ა. კურტანიძე (ორივენი — ბათუმი), გ. ხალვაში (ბათუმის რაიონი).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი აქაც ბათუმის ათლეტებმა დაისაკუთრეს.

**პ. ქებაბჩიანი.**

ბათუმი.

## „ლელოს" წერილის კვალდაკვალ

### „შეუსრულებელი ბრძანება"

ამ სათაურით „ლელოს" 3 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისის სახეხი ჩარხსაშენი ქარხნის ფიზკულტურელთა საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. როგორც პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ზატიაშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.





# ბოლო ორ ეტაპზე





საქართველოს მრ[...] დია — ხაშური, 135[...] თაისის ეტაპზე (25 [...] მდე — ჯგუფური.

სტარტი პირველ[...] აზერბაიჯანის II ნა[...] ნამო" და ბოლოს, [...] ეტაპი მოიგო „დინამ[...] აზერბაიჯანის II გ[...]

გადამწყვეტი ბრძ[...] დიდი სისწრაფე ვე[...] რზე, მაშინ, როცა ა. [...] ნი I) სწრაფად დაწ[...] შემდეგ ლიდერთა და[...] კილომეტრზე ძირითა[...] ამაოდ.

და ასე გრძელდე[...] ტეხილის მისადგომებ[...] ნილთა შორის სხვაობ[...] ჩქარეული („დინამო"[...] ნიჩიც (აზერბაიჯანის[...]

დაიწყო გრძელი, [...] რეულსა და დივეიკინ[...] მერე კი გაასწრო კი[...] ჩშა ლიდერებიც „[...]

ფინიშთან I მიიჭ[...]

## სსრ კავშირის პირველობა

### „ა" ჯგუფი I ჯგუფი

მოსკოვი, 23 მაისი. გუშინ აქ შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი" — „პახტაკორი".

ანგარიში გახსნა ტაშკენტელთა თავდამსხმელმა აბდურაიმოვმა. შემდეგ „პახტაკორის" კარში დაინიშნა პენალტი. პეტროვის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე პშენიჩნიკოვმა, მაგრამ ლოგოფეტმა საბოლოოდ მაინც შეძლო კარში მისი გატანა — 1:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 8 | 6 | 2 | 0 | 22—2 | 14 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 8 | 6 | 2 | 0 | 13—3 | 14 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 8 | 4 | 4 | 0 | 16—3 | 12 |
| „არარატი" (ერევანი) | 8 | 4 | 2 | 2 | 10—6 | 10 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 8 | 2 | 6 | 0 | 7—5 | 10 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 8 | 3 | 3 | 2 | 12—9 | 9 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 4 | 1 | 3 | 8—5 | 9 |
| ასკ (როსტოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 11—11 | 9 |
| ცსკა | 7 | 1 | 5 | 1 | 6—7 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 2 | 2 | 3 | 7—6 | 6 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 8 | 2 | 2 | 4 | 5—10 | 6 |
| „დინამო" (მინსკი) | 8 | 2 | 2 | 4 | 8—14 | 6 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 8 | 3 | 0 | 5 | 10—17 | 6 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—9 | 5 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 7 | 2 | 1 | 4 | 5—10 | 5 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—11 | 5 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 8 | 2 | 1 | 5 | 6—14 | 5 |
| ასკ (ოდესა) | 7 | 0 | 4 | 3 | 3—9 | 4 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 7 | 1 | 0 | 6 | 6—14 | 2 |

## ცვლილებანი კალენდარში

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ნება დართო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას მოახდინოს შემდეგი ცვლილებები სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარში 25 მაისს დანიშნული მატჩები „პახტაკორი" (ტაშკენტი) — „დინამო" (თბილისი), „სპარტაკი" (მოსკოვი) — „არარატი" (ერევანი) შედგება 27 მაისს.

### „ა" ჯგუფი II ჯგუფი

## უნაყოფო იერიშები

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 23 მაისი.

„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:1 (0:0).

**ბათუმი.** კვახაძე, როგავა, ჯოხაძე, კობიაშვილი, კიზირია, ონიანი, ილურიძე, მესხი, გიორგაძე (კონიაშვილი), ქიქავა, შაფათავა.

**სტავროპოლი:** მოზგინი, ვიბორნოვი, ჩუნოსოვი, მაქსიმოვი, ჟურავლიოვი, გერასიმოვი, მოისეევი, ლავიჩინი, კლიარუგოვი (ჟუკოვი), არუთიუნოვი, ჟუკოვსკი.

მსაჯი ს. სეროპიანი (ერევანი).

მართალია, პირველი ტაიმი მასპინძელთა ერთგვარი უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ ამას ადგილობრივი მაყურებლისთვის დიდი სიხარული არ მოუტანია: ბათუმის დინამოელები მეტისმეტად შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის თავდამსხმელებზე, რომლებიც თავიანთი უხეირო გადაცემებით საგრძნობლად უადვილებდნენ მეტოქეს კარის ხელშეუხებლობის დაცვას. გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს გიორგაძემ, ქიქავამ და შაფათავამ.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა თამაში არ გამოკეთებულა. სტავროპოლელებმა კარგად ისარგებლეს მეტოქეთა პასიურობით, ხელთ იგდეს ინიციატივა და 77-ე წუთზე მოისეევმა მოულოდნელი დარტყმით გახსნა კიდეც ანგარიში — 1:0.

გაშვებულმა ბურთმა ბათუმელები თითქოს ხაღათას ძილიდან გამოიყვანა: მათ მძლავრად შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს გამუდმებული იერიშები ნაკლებად გააზრებული ხასიათისა იყო. სტავროპოლელები აუღელვებლად იცავდნენ თავს და დროდადრო მწვავე კონტრშეტევებსაც ავითარებდნენ. მასპინძლებმა ვერ მოახერხეს საპასუხო გოლის გატანა და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

ვ. მოსეშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## 1:0

### სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვება

**22** მაისს ბრიუსელში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით —1:0. ეს ერთადერთი ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა ნახევარმცველმა სერებრიანიკოვმა.

საბჭოთა ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, დანილოვი, ვორონინი, სერებრიანიკოვი, მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, ჩისლენკო.

### „ბ" კლასი IV ზონა

გუშინწინ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში ჩატარდა „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები იტყობინებიან...

### ... ზუგდიდიდან

● „ენგური" (ზუგდიდი)—„არაქსი" (ერევანი) 2:0. პირველ 30 წუთს შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. მხოლოდ 30-ე წუთზე გამოიყენა ჯოკუამ აბრალავას გადაცემა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

იგივე ამბავი განმეორდა მეორე ტაიმშიც. „ენგურის" შეტევებმა მხოლოდ 25-ე წუთზე გამოიღო ნაყოფი: ხარჩილავამ მოატყუა მოწინააღმდეგე მცველი, გადასცა ბურთი ჯოკუას და ამ უკანასკნელმა მეორედ გაგზავნა იგი „არაქსის" კარში.

ერევნელთა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა მასპინძლებმა კარგად მოიგერიეს და გაიმარჯვეს.

გ. ალშიბაია.

### ... სოხუმიდან

„დინამო" (სოხუმი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 1:1. პირდაპირ უნდა ითქვას, სოხუმელმა ფეხბურთელებმა სუსტად ითამაშეს. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ისინი არ იყვნენ აგრესიულად განწყობილი. დინამოელთა მიერ აღებული ნელი ტემპი, ეტყობა, ხელს აძლევდა „სევანს", რომელიც სახიფათო კონტრშეტევებზე აგებდა თამაშს.

შ. ჯალაღონია.

### ... რუსთავიდან

„მეტალურგი" (რუსთავი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 3:2. რუსთაველმა ფეხბურთელებმა პირველი გამარჯვება ჩაიწერეს მიმდინარე გათამაშებაში. უკვე დასაწყისმა მოუტანა მათ წარმატება, როცა დავითულიანი — დოკვაძის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა— 1:0. მე-15 წუთზე ანგარიში უკვე იყო 2:0 (ბურთი გაიტანა იობიძემ), თუმცა ორიოდე წუთის შემდეგ ნეპოჩატმა შეძლო 1 გოლის გაქვითვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „მეტალურგის" დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა, რომელიც ზუსტად გამოიყენა საფონოვმა — 2:2. მასპინძლებს მთელი ძალ-ღონის მობილიზება დაჭირდათ, რათა გამარჯვებით დაემთავრებინათ ეს მატჩი. გადამწყვეტი ბურთი შორი მანძილიდან გაიტანა გემეზაშვილმა.

რ. გაბრიჩიძე.

### ... გორიდან

„დილა" (გორი) — „სპარტაკი" (ელისტა) 0:0. თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა გორელთა მცირე უპირატესობით. ისინი ძირითადად ცენტრში ავითარებდნენ თავიანთ იერიშებს, მაგრამ ამავე დროს დაცვას სრული ძალით უხდებოდა მუშაობა მეტოქის მიერ მარცხენა ფლანგზე წარმოებული შეტევების უვნებელსაყოფად.

„დილის" სრული უპირატესობით აღინიშნა მეორე ტაიმი. გუნდი უტევდა სწრაფად, ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს სპარტაკელთა კართან, მაგრამ თავდამსხმელები გაუბედაობას და უზუსტობას იჩენდნენ გადამწყვეტი დარტყმების შესრულებისას.

გ. გოზალიშვილი.

### ... ტყიბულიდან

„მეშახტე" (ტყიბული) — „უროჟაი" (მაიკოპი) 1:1. შეხვედრა კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მაიკოპელთა შორის გამოირჩეოდა სახიფათო თავდამსხმელი ტარასენკო, რომელიც ორჯერ გაექცა დაცვას და ტყიბულელთა მეკარე ძიძიგურს ორივეჯერ თავგანწირული ნახტომის შესრულება მოუხდა, რათა აშკარა გოლისაგან ეხსნა კარი. ასეთივე მწვავე მომენტები შექმნა „უროჟაის" კართან, მაგრამ ავალიანმა და თოლორაიამ ვერ გამოიყენეს ისინი. 43-ე წუთმა წარმატება მოუტანა მეშახტეებს, რომელთა მხრივ გოლის ავტორი აღმოჩნდა ფირცხალავა.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, „უროჟაის" ერთ-ერთი საპასუხო შეტევა კი საპასუხო გოლით დაამთავრა ტარასენკომ.

ზ. ჯორჯაძე.

### ... ფოთიდან

„კოლხიდა" (ფოთი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 1:0. ფოთელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის განმავლობაში და სტუმრები თავიანთი კარის გადასარჩენად ხშირ შემთხვევაში უხეშობასაც არ ერიდებოდნენ.

„კოლხიდას" გამარჯვება მოუტანა მარჯვენა გარემარბ ხოფერიას მიერ 20 მეტრის მანძილიდან გატანილმა გოლმა. ეს მოხდა მეორე ტაიმის მე-17 წუთზე.

ა. ლომაია.

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 0:0.

● ბ ა ლ ა კ ო ვ ო, 22 მაისი. წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე კონტინენტალური ზონის ფინალურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა ახალგაზრდა უფელმა გ. კურილენკომ ერთი თვის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება კონტინენტის ფინალი. აქ მონაწილეობის უფლება კურილენკოს გარდა კიდევ ორმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა — ვ. ტროფიმოვმა (როვნო) და ბ. სამოროდოვმა (უფა). ასპარეზობა ჩატარდა ხელოვნური ბოჭკოს ადგილობრივი კომბინატის ტრეკზე, რომელსაც მთელს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო წიდიანი ბილიკი აქვს. აქ გამოვიდნენ პოლონეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მოტოციკლისტები. ეს საუცხოო ტრეკი თავიანთი ძალებით შარშან აგეს ვოლგაზე მდებარე ამ ქალაქის ქიმიკოსებმა და გრანდიოზული ჰიდროელსადგურის მშენებლებმა — სპორტის ენთუზიასტებმა. ტრიბუნებზე 15 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რომლებიც უაღრესად წარმტაცი სანახაობის მოწმენი გახდნენ. 20 სერიის უმეტესობაში (სტარტს იღებდა 4-4 მრბოლელი) ბრძოლა უმთავრესად საბჭოთა და პოლონელ სპორტსმენთა შორის მიმდინარეობდა. კურილენკო მუდამ წინ იყო. ტრასის სწორ მონაკვეთებზე იგი საათში 100 კილომეტრამდე სისწრაფეს ავითარებდა და ოსტატურად სძლევდა 400-მეტრიანი ბილიკის ვირაჟებს.

● ვ ი ს მ ა რ ი, 23 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის მონაწილენი ავტობუსით როსტოკიდან ვისმარში ჩამოვიდნენ, რათა ქალაქის გარშემო (93 კმ) რბოლაში XII ეტაპი გაეთამაშებინათ. ეტაპი ერთდროულად 6 მონაწილემ დაამთავრა. პირველი იყო იტალიელი ა. ალბონეტი — 2:10.36, II ადგილზეა ბელგიელი ა. ჰოუბენი, ხოლო III — უნგრელი ა. მედიარდი. საბჭოთა გუნდის კაპიტანი გ. საიდხუჟინი V იყო. 22 წამის შემდეგ დაამთავრა ეტაპი სპორტსმენთა დიდმა ჯგუფმა, სადაც იყვნენ ა. პეტროვი, ა. დოხლიაკოვი და დანარჩენი საბჭოთა ველოსიპედისტები. ეტაპზე გუნდური გამარჯვება ბელგიელებს დარჩათ (საერთო ჯამში ისინი VII ადგილზე არიან). 12 ეტაპის შემდეგ ლიდერობს ფრანგი ბ. გიუიო, II ადგილზეა ა. დოხლიაკოვი. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველოსიპედისტები 3 წუთსა და 46 წამს უგებენ II ადგილზე მყოფ პოლონელებს.

● რიბნიკი (პოლონეთი), 23 მაისი. აქ ჩატარდა წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში მსოფლიოს პირადი პირველობის ერთ-ერთი საკონტინენტო ნახევარფინალი. სტარტი აიღეს პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა. სენსაციური იყო საბჭოთა მოტომრბოლელების მარცხი. მათგან მხოლოდ ერთი — ი. პლეხანოვი გავიდა ფინალში. აქ გამართულ შეჯიბრებაში მონაწილე 6 პოლონელი სპორტსმენიდან 4 ფინალში მოხვდა.

● კ ო მ ო (იტალია), 23 მაისი. მოფარიკავეთა აქ გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში დაწესებული ჯილდო „ვერცხლის რაპირა" მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, უნგრელმა სპორტსმენმა ქალმა ი. რეჯტომ. საბჭოთა მოფარიკავეები ამ ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ.

●

ბუქარესტი, 21 მაისი. ფრენბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (ვაჟები). ფინალური მატჩები: ადგილობრივი გუნდები— „დინამო"—„რაპიდი", 3:1 და 3:2. თასი გადაეცა „დინამოს".

### მხოლოდ ტელეგრაფის სტრიქონები...

...ანი ველორბოლის ბოლოსწინა, VI ეტაპი (სამტრე-...
...ნახევარეტაპისგან შედგებოდა: სამტრედია — ქუ-...
...რთა გუნდური ბრძოლა, ხოლო ქუთაისიდან ხაშურა-...

... ადგილზე მყოფმა „სპარტაკმა" აიღო. მას მიჰყვნენ „განთიადი", „ბურევესტნიკი", „კოლმეურნე", „დი-... — აზერბაიჯანის I ნაკრები. პირველი საშუალედო ...85.02,3. II იყო „კოლმეურნე" — 35.17,7, III — ... 35.22,9.

...ოდა ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან, მაგრამ ...ტებმა მცირე ხნით შეინარჩუნეს. მე-10 კილომეტ-... („კოლმეურნე") და ვ. სემერგეი (აზერბაიჯა-...ნენ, საერთო ტემპი დაეცა და საMიოდე კილომეტრის ...დ ჯგუფს შორის სხვაობამ 1 წუთს მიაღწია. 26-ე ...ის კიდევ სამმა წევრმა სცადა „გაპარვა", მაგრამ

...ტაფონამდე, ამ ქალაქის შემდეგაც, სურამის უღელ-... ცვლილება ისეთი იყო, რომ ლიდერთა და ჩამორჩე-...თა გადააჭარბა. 70-ე კილომეტრზე „გაიპარნენ" პ. ... დივეიკინი (აზერბაიჯანი II). მალე მათ პ. დეტი-...დევნა.

...ველი აღმართები, სადაც ძალიან გაუჭირდათ ჩქა-... კარგად ისარგებლა დეტინიჩმა. იგი ჯერ წამოეწია, „დუეტს". რამდენიმე კილომეტრის შემდეგ დეტინი-...

...სემერგეი — 3:35.47. ასეთივე მაჩვენებლით II იყო ჯღარკავა, ხოლო III — დეტინიჩი. 1 წუთისა და 12 წამის შემდეგ მოვიდა 13-კაციანი ჯგუფი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აზერბაიჯანის I ნაკრებმა — 11:23.58,1. „კოლმეურნის" დრო 11:25.02,7. III ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 11:26.20,6. საშუალო სისწრაფე მეტად დაბალი იყო — 30,5 კმ.

მეორე დღეს ხაშურში სტარტი მიეცა ბოლო, VII ეტაპს. თბილისამდე გასავლელი იყო 135 კმ. მე-12 კილომეტრიდან მონაწილეებს დასაძლევი გაუხდათ მეტისმეტად უვარგისი 2-კილომეტრიანი გზა, რამაც ველოსიპედისტები საგრძნობლად დაქსაქსა. მაგრამ სამშვიდობოზე გასვლისთანავე ჯგუფი ისევ შეერთდა და მხოლოდ თ. აბდუშელიშვილმა („სპარტაკი") მოახერხა „გაქცევა". 5 კილომეტრის მერე თანაგუნდელს ჯერ სპორტის ოსტატი ა. ბიკეტოვი დაედევნა, მერე კი ა. ჯღარკავა, მ. ფუტკრიშვილი („დინამო") და მ. ქანთარია („ბურევესტნიკი").

დაწინაურებულებს უპირატესობა თითქოს განაღდებული ჰქონდათ, რომ მათ წინ კვლავ გაიჭიმა უხეირო გზის ახალი მონაკვეთი. ბიკეტოვი საბურავის დაზიანების გამო ჩამორჩა. 55-ე კილომეტრზე აბდუშელიშვილს წამოეწიენ თანაგუნდელი შ. დაიაური და ვ. სემერგეი (აზერბაიჯანი I), კიდევ 5 კილომეტრის მერე ჩამორჩენილებს გამოეყვნენ ნ. გრიშკევიჩი („განთიადი") და ვ. იურკევიჩი („დინამო"), რომლებიც შეთანხმებულად ამუშავდნენ, ერთმანეთს ლიდეროსდნენ და ავანგარდში გადაინაცვლეს. ამრიგად, შეიქმნა მრბოლელთა 3 ჯგუფი.

მცხეთასთან პირქარმა იძალა. მცირერიცხოვან ჯგუფებს გაუჭირდათ და სხვაობამაც იკლო, მაგრამ ჯგუფები ფინიშამდე მაინც ამავე თანმიმდევრობით მიდიოდნენ.

თბილისში ახალ, მარცხენა სანაპიროზე გამართულ ფინიშთან ყველას მიასწრო სემერგეიმ — 4:25.10. II იყო ქანთარია, III — გრიშკევიჩი. ე. კეხბა („დინამო") მათ 49 წამით ჩამორჩა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „სპარტაკის" კოლექტივმა — 13:17.12. დინამოელები 19 წამით გვიან მოვიდნენ. III-V ადგილები გაიყვეს „განთიადმა", „ბურევესტნიკმა" და აზერბაიჯანის I გუნდმა.

საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლა დამთავრდა. 7 ეტაპის ჯამში ყველას აჯობეს აზერბაიჯანის სპორტსმენებმა — 70:22.53,1. შემდეგ მიდიან: „დინამო" — 70.46.54,3, „კოლმეურნე" — 70:53.55,7, „ბურევესტნიკი" — 71:09.37,6, „განთიადი" — 71:11.25,1, აზერბაიჯანი II — 71:55.11,9 და „სპარტაკი" — 72:30.19,0.

პირად ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა ე. მელკოვი (აზერბაიჯანის ნაკრები) — 23:17.23. II ადგილზეა ი. კრასავცევი („დინამო") — 23:21.18. კრასავცევს მიენიჭა საქართველოს ჩემპიონის სახელი, ვინაიდან სტუმრები კონკურსგარეშე ასპარეზობდნენ, რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე პრიზიორის სახელი მოიპოვა ა. მოგუსევმა („კოლმეურნე"), რომელიც კრასავცევს 8 წამით ჩამორჩა. დინამოელ ე. მელკოვს დარჩა III ადგილი.

გამარჯვებულები დააჯილდოვეს. ჩვენს სტუმრებს გადაეცათ გუნდურ ჩათვლაში წარმატებისათვის დაწესებული სპეციალური პრიზი, ხოლო ცალკეულ უძლიერეს სპორტსმენებს — ფასიანი საჩუქრები. ვალში არც სტუმრები დარჩენილან: მათ თბილისელ ველოსიპედისტებს სამახსოვრო პრიზი უძღვნეს.

ვ. მარტყოფლიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.)

სამტრედია—თბილისი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნიდან — საქართველოს ჩემპიონი ი. კრასავცევი; ველორბოლის მონაწილენი სამტრედიის ქუჩებში; აზერბაიჯანელთა „კვარტეტი" დისტანციაზე.

ფოტო ვ. ბალდავაძისა და ვ. სილივესტროვისა.

